

# L3

## ევროკოდები: მზარდი კონკურენტუნარიანობა

### უმთავრესი ციფრები

11.8 მილიონი ადამიანი უშუალოდ სექტორშია დასაქმებული, რაც ევროკავშირში მთლიანი დასაქმების 7%-ს და სამრეწველო დასაქმების 28%-ს წარმოადგენს.


დაბალი ხარისხის რეგულაცია ევროპის ბიზნესს სულ მცირე €50 მილიარდი უჯდება წელიწადში. კომპანიების 87%-ის აზრით ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს წესების ერთი კრებულის შექმნა, 25 კრებულის ნაცვლად.

თავისი არსებობის პირველ 10 წელიწადში საცალო ბაზარმა შექმნა 2.5 მილიონი სამუშაო ადგილი და დამატებით 877 მილიარდი შემოსავალი. ევროკავშირის ექპორტი არა წევრ სახელმწიფოებში გაიზარდა ევროკავშირის GDP-ის 6.9%-დან 11.2%-მდე.


ეფექტური შიდა ბაზარი მომსახურებაში გაზრდის ვაჭრობას 15%-დან 30%-მდე, ასევე უცხოურ ინვესტიციებს 20%-დან 35%-მდე.

ევროკავშირი არის მთავარი სავაჭრო ძალა და მსოფლიოში საქონლისა და მომსახურების წამყვანი ექსპორტიორი.

საქონელი



მომსახურება



მსოფლიო ვაჭრობის წილი (ევროსტატის მონაცემები)

### ევროკოდები

ევროკოდები არის ევროპული სტანდარტების კრებული (EN) შენობებისა და ნაგებობების დაპროექტებისათვის, სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოებისათვის და სამშენებლო პროდუქციისათვის.

ევროკოდები უზრუნველყოფს კონსტრუქციული დაპროექტების ნორმების მთლიანი კონსტრუქციის დაპროექტებისათვის, რომლის კომპონენტები და სამშენებლო მასალები არის, როგორც ტრადიციული ასევე ინოვაციური.

<b>EN 1990</b>	ევროკოდი: კონსტრუქციული დაპროექტების საფუძველები
<b>N 1991</b>	ევროკოდი 1: კონსტრუქციებზე ზემოქმედება
<b>EN 1992</b>	ევროკოდი 2 : ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება
<b>EN 1993</b>	ევროკოდი 3: ფოლადის კონსტრუქციების დაპროექტება
<b>EN 1994</b>	ევროკოდი 4: კომპოზიციური ფოლადის და ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება
<b>EN 1995</b>	ევროკოდი 5: ხის კონსტრუქციების დაპროექტება
<b>EN 1996</b>	ევროკოდი 6: ქვის/აგურის კონსტრუქციების დაპროექტება
<b>EN 1997</b>	ევროკოდი 7: გეოტექნიკური დაპროექტება
<b>EN 1998</b>	ევროკოდი 8: სეისმომდებელი კონსტრუქციების დაპროექტება
<b>EN 1999</b>	ევროკოდი 9: ალუმინის კონსტრუქციების დაპროექტება

EN ევროკოდები

ევროკოდები ამომწურავად მოიცავს კონსტრუქციების დაპროექტების საფუძველებს, კონსტრუქციებზე ზემოქმედებებს, უმთავრეს სამშენებლო მასალებს და შენობა-ნაგებობების დაპროექტების ყველა ძირითად სფეროს და კონსტრუქციებისა და მასალების ფართო სპექტრს.

## ევროკოდები და ევროკავშირის კანონმდებლობა

შემდეგი მთავარი დირექტივები წარმოადგენს ოფიციალურ დამაკავშირებელ რგოლს ევროკოდებსა და ევროკავშირის კანონმდებლობას შორის:

- საბჭოს დირექტივა 89 / 106 / EEC „წევრ სახელმწიფოებს შორის სამშენებლო პროდუქციის შესახებ კანონმდებლობათა დაახლოების, რეგულაციების, ადმინისტრაციული დებულებების შესახებ“ (სამშენებლო პროდუქციის დირექტივა- CPD).

## შესაძლებლობები სამშენებლო ინდუსტრიისათვის

ევროკოდები არის რეფერენტული სტანდარტები სამშენებლო პროდუქციის, შემადგენელი ნაწილებისა და კომპლექტებისა CE-მარკირებისათვის. შესაბამისობის უნიკალური დეკლარაციის მეშვეობით მწარმოებელს აქვს შესაძლებლობა საცალო ბაზარზე ექსპორტის განსახორციელებლად.

საცალო ბაზარი არის ევროპის სამშენებლო ინდუსტრიის მნიშვნელოვანი პლაცდარმი მასშტაბის ევექტის მისაღწევად და გლობალურ ბაზარზე გაფართოებისათვის.

მესაკუთრეებს, კონტრაქტორებს, დამპროექტებლებსა და მეწარმეებს შორის საერთო ენის დამყარებით ევროკოდები და შესაბამისი ევროპული სტანდარტები ხელს უწყობს მომსახურების ბაზრის ჰარმონიზებასა და სამშენებლო მომსახურების გაცვა-გამოცვლას.

სახელმწიფო შესყიდვა შეადგენს GDP-ის 15%-ს და მოიცავს მომსახურებასა და სამუშაოებს, რომელიც სახელმწიფო სექტორის მიერ არის შესყიდული. ევროკოდები გამოიყენება როგორც რეფერენტული დოკუმენტი ტექნიკურ სპეციფიკაციებში ტენდერებისათვის, მასსადაც სამართლიანი კონკურენციისათვის როგორც საერთო და გამჭვირვალე საფუძველი.

ევროკოდები ხელს უწყობს ინოვაციებს კონსტრუქციების დაპროექტებაში და ინოვაციურ პროდუქციას, რომლის შედეგა უფრო მეტი სპეციალიზაცია და უფრო მეტი ეკონომიკური გადაწყვეტა.

ისინი წარმოადგენენ საერთო საფუძველს სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ კონტრუქტორული სამუშაოებისათვის და აადვილებენ სამრეწველო, მეცნიერულ და ტექნიკურ თანამშრომლობას. კვლევა და ინოვაცია ხელს შეუწყობს დასაქმებასა და ზრდას.

- 2004 / 18 / EC ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა „საზოგადოებრივი სამუშაოების კონტრაქტების, საზოგადოებრივი მომარაგების კონტრაქტების, საზოგადოებრივი მომსახურების კონტრაქტების დაჯილდოების პროცედურების კოორდინირების შესახებ“. (სახელმწიფო შესყიდვის დირექტივა).

CPD აყალიბებს 6 აუცილებელ მოთხოვნას (ER). ტექნიკური თვალსაზრისით, ევროკოდები მოიცავს ER 1 „მექანიკური სიმტკიცე და სტაბილურობა“ და ER 2-ის ნაწილს „უსაფრთხოება ხანძრის დროს“ და ER 4 „მოხმარების / გამოყენების უსაფრთხოება“.

ევროკოდები აადვილებს პროდუქციის და სამშენებლო სამუშაოების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გავრცელებას და ხელს უწყობს რეგიონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.


ევროკოდები ხელს უწყობს მარეგულირებელი და ადმინისტრაციული გარემოს გამარტივებას იმ მიზნით რომ ხელი შეუწყოს ბიზნესში კონკურენტუნარიანობის შექმნასა და განვითარებას. ბიზნესი მოიცავს პატარა და საშუალო სიდიდის საწარმოებს.

ევროკოდების გამოყენება ევროკავშირის გარეთ ხელს შეუწყობს ტექნიკური რეგულაციებისა და ატესტაციების პროცედურების ერთ სისტემაში მოქცევას, რაც საერთაშორისო ვაჭრობას კიდევ უფრო გააადვილებს.

## შესაბამისობის დამოწმება

სამშენებლო პროდუქციის დირექტივა ეფუძნება ოთხ ელემენტს:

1. ტექნიკური სპეციფიკაციების ჰარმონიზებულ სისტემას, რომელიც წარმოადგენს ჰარმონიზებულ ევროპულ სტანდარტებსა (hENs) და ევროპის ტექნიკურ ატესტაციებს (ETAs). ინოვაციური პროდუქციისათვის, რომელსაც სტანდარტები არ მოიცავს, ევროპის ტექნიკური ატესტაცია (ETA) შეიძლება გაიცეს ETA-ს მითითებების (ETAG) ან CUAP-ის საფუძველზე. ევროკოდები წარმოადგენენ რეფერენტულ სტანდარტებს სამშენებლო პროდუქციისათვის hEN-ის და ETAs-ს მოპოვებისათვის.
2. თითოეული პროდუქციისათვის შესაბამისობის დამოწმების შეთანხმებულ სისტემას, რომელსაც მოიცავს მესამე მხარე (ნოტიფიცირებული ორგანო) შესაბამისობის შესაფასებლად.
3. ჩარჩოს ნოტიფიცირებული ორგანოებისათვის.
4. სამშენებლო პროდუქციის CE მარკირებას, რომელიც ეფუძნება პროდუქციის ტექნიკურ სპეციფიკაციებს.



პროდუქციის CE მარკირება სამშენებლო პროდუქციის დირექტივის (CPD) შესაბამისად.

### ევროკოდები და CE მარკირება




CE მარკირება სავალდებულოა ყველა იმ პროდუქციისათვის, რომელსაც ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტები (hEN) ან ევროპის ტექნიკური ატესტაციები (ETA) მოიცავს CPD-ის ფარგლებში.

CE მარკირებას თან ახლავს მასალისა და პროდუქციის აღიარებული საექსპლუატაციო თვისებები, რომლებიც გამოიყენება ევროკოდების შესაბამისად კონსტრუქციების დაპროექტებისათვის.

ევროკოდების გამოყენება სამშენებლო პროდუქციისათვის და სამშენებლო სამუშაოების დაპროექტებისათვის სამშენებლო პროდუქციის დირექტივის აუცილებელ მოთხოვნებთან ერთად ზრდის შესაბამისობის ვარაუდს.

### EN ევროკოდების ნაციონალური გამოცემა

ევროკოდების ყველა 58 ნაწილი ხელმისაწვდომი გახდა 2007 წელს.



### EN ევროკოდის ნაწილის ნაციონალური დანერგვა

ნაციონალური სტანდარტების ორგანოებმა უნდა გამოსცენ ნაციონალური სტანდარტები, რომლებიც ჩაანაცლებს EN ევროკოდების ნაწილსა და ნაციონალურ დანართს.

ნაციონალური დანართი შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას ნაციონალურად განსაზღვრული პარამეტრების (NDPs) ამა თუ იმ დაინტერესებულ ქვეყანაში გამოყენების შესახებ, გადაწყვეტილებებს ინფორმაციული დანართის გამოყენებისა და შესაბამისი დამატებითი ინფორმაციის შესახებ.

ნაციონალურმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ ნაციონალური დებულებების ადაპტირება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ევროკოდების ნაწილის გამოყენება ქვეყანაში.

### მომზადება

იმისათვის, რომ მოხდეს ევროკოდების ადეკვატური გამოყენება, სამშენებლო ინდუსტრია და სამოქალაქო მშენებლობის ყველა სპეციალისტი უნდა იყოს მზად ევროკოდების გამოყენებისათვის. ევროკოდების წარმატებული დანერგვისათვის აუცილებელია თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეთა და სტრატეგიულ მიდგომას შორის.

ევროკოდების დანერგვისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სწავლება, როგორც ხანგრძლივი პროფესიული, ასევე საუნივერსიტეტო განათლება.

უნდა გამოიცეს და გავრცელდეს სახელმძღვანელო მასალა. ასეთი მასალები შეიძლება მოიცავდეს დამხმარე საშუალებებს ევროკოდების დანერგვისათვის, დამპროექტებლის სახელმძღვანელოებს, მითითებებს მაგალითებით, სწავლებისა და დამპროექტების პროგრამულ უზრუნველყოფას და ა.შ.

მხარდაჭერა შესაძლებელია ნაციონალურ დონეზე ვებ-საიტების, გამოცემებისა და კურსების საშუალებით. ევროკომისის ვებ-საიტი არის საშუალება სასწავლო და ხელისშემწყობი ინფორმაციის გავრცელებისათვის.

1. [http://ec.europa.eu/enterprise/construction/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/construction/index_en.htm)
2. Commission Communication COM/2003/0238
3. [http://ec.europa.eu/internal\\_market/top\\_layer/benefits\\_en.htm](http://ec.europa.eu/internal_market/top_layer/benefits_en.htm)
4. Commission Communication COM/2005/0011
5. Commission's report on the economic effects of public procurement (03/02/2004)

## დამატებითი ინფორმაციისათვის

---

ევროკოდები: <http://eurocodes.jrc.ec.europa.eu>

DG ENTR: <http://ec.europa.eu/enterprise/construction>

CEN: [www.cen.eu](http://www.cen.eu)

EOTA: [www.eota.eu](http://www.eota.eu)

<http://eurocodes.jrc.ec.europa.eu>

JRC 2010



GD წარმოებისა და ინდუსტრიის  
გაერთიანებული კვლევითი ცენტრი

**Eurocodes**  
Building the future